ინფორმაციული ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1961 წლის 19 ივნისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიხმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „სკკპ პროგრამის პროექტის შესახებ“ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ფ. რ. კოზლოვის მოხსენება „სკკპ წესდების პროექტის შესახებ“.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებმა, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების პირველმა მდივნებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო ორგანოების პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ბროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

21
ივნისი
ოთხშაბათი,
1961 წ.
№ 86 (1721)
გამოცემის მე-17 წელი
ფასი 3 კაპ.

27 ივნისს

სპორტის სასახლეში შედგება საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების საბჭოს

IX პლენუმი

დღის წესრიგშია

1. რესპუბლიკის სპორტსმენთა და მწვრთნელთა შორის პოლიტიკურ-მოზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შესახებ ედრად რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა.

დასაწყისი 12 ს.

დროშა და სიგელები გადაეცათ

დამთავრდა „შრომითი რეზერვების“ XIV რესპუბლიკური სპარტაკიადა. წყალტუბოში სამივე საპრიზო ადგილი თბილისის გუნდებს ხვდა წილად (№ 6 სახელოსნო, № 5 პროფტექნიკური და რკინიგზის № 2 სასწავლებლები). სპორტულ ტანვარჯიშში უძლიერესი კვლავ № 6 სახელოსნო სასწავლებლის გუნდი აღმოჩნდა. მეორე ადგილი დაიკავეს რკინიგზის სასწავლებლის, ხოლო მესამე ადგილი სურამის პროფტექნიკური სასწავლებლის ტანმოვარჯიშეებმა.

ნიჩბოსნობაში გუნდური პირველობა არავის დაუთმო რკინიგზის № 1 სასწავლებელმა, ხოლო მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობა დამთავრდა № 6 სახელოსნო სასწავლებლის გუნდის გამარჯვებით. სპარტაკიადის ჩემპიონობა დაისაკუთრა ამ გუნდის წარმომადგენელმა მ. ახობაძემ. იგი გამარჯვებული გამოვიდა აგრეთვე წყვილთა შეჯიბრებაში ვ. გორგიშვილთან ერთად.

წყალში მხტომელ ჭაბუკთაგან სურამის პროფტექნიკური სასწავლებლის წარმომადგენელი რ. არუთინოვი სამგზის ჩემპიონი გახდა — მოიგო შეჯიბრება 1 და 3-მეტრიან ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში. გოგონებში გამარჯვება წილად ხვდა გ. კადურას (№ 27 სახელოსნო სასწავლებელი).

სპარტაკიადის შედეგების შეჯამებისას რკინიგზელთა სახლში საზეიმო ვითარებაში გადაეცა „შრომითი რეზერვების“ ქართველ სპორტსმენებს სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშა 1960 წელს მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტულ მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის. „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი პრიზი და სიგელი საკავშირო შეჯიბრებაში დაკავებული პირველი ადგილისათვის გადაეცათ თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის სპორტსმენებს.

ი. რუხაძე,
ა. ბარნოვი

ლაპარაკობს შეჯიბრების მთავარი მსაჯი

ლენინგრადში რვა დღეს გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის პირადგუნდური პირველობა ფარიკაობაში. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა შეჯიბრების მთავარ მსაჯს კ. თუმანოვს, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

— არც ერთი საკავშირო ჩემპიონატი არ ყოფილა ისეთი საინტერესო და დაძაბული, როგორიც წლევანდელი. ყველაზე უფრო სასიამოვნოა ის, რომ შეჯიბრებაში საუკეთესო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს ახალგაზრდა მოფარიკაველებმა. ვერც ერთმა შარშანდელმა ჩემპიონმა და, რაც უფრო მთავარია, რომის ოლიმპიადის ვერც ერთმა „გმირმა“ ვერ მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის საპატიო ტიტული.

უფრო მეტიც. იტალიის ქალაქ კომოდან ახლახან ჩამოსულმა ა. ზაბელინამ, რომელმაც სულ რამდენიმე კვირის წინ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია საერთაშორისო ტურნირში, საკავშირო პირველობაში მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი მან დაუთმო მოსკოველ მოფარიკავეს გ. გორობოვსკაიას.

შეჯიბრებაში 600 სპორტსმენი მონაწილეობდა. სულ 7 ათასამდე ბრძოლა გაიმართა და ამ ბრძოლაში მხოლოდ ოთხმა მოიპოვა ჩემპიონის სანუკვარი ტიტული. განსაკუთრებით საგულისხმოა თბილისელი სპორტსმენების ნ. ასათიანისა და გ. კოსტაკას წარმატება, რომლებმაც გამოავლინეს კარგი სატურნირო ჩვევები და მაღალი ტექნიკა. ასე მაგალითად, გ. კოსტავას ფინალურ ბრძოლაში იყო შემთხვევა, როცა მისი დამარცხება ეჭვს აღარ იწვევდა, მაგრამ ქართველმა სპორტსმენმა უჩვეულო სიმტკიცე გამოიჩინა და შემოაბრუნა შეხვედრის ბედი თავის სასარგებლოდ. ყველაფერი ეს მოწმობს იმას, რომ საქართველოს მწვრთნელები და, პირველ რიგში, ჩემპიონების აღმზრდელი ტ. მესხი სწორად ხელმძღვანელობენ სასწავლო-საწვრთნელ პროცესს.

საბჭოთა კავშირის მოფარიკაველების წინაშე დღეს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას. მათ მიმდინარე წლის ზაფხულში მონაწილეობა უნდა მიიღონ მსოფლიო პირველობის გათამაშებაში, რომელიც იტალიაში ჩატარდება. ამიტომ ჩვენი წამყვანი მოფარიკაველები აქედანვე უნდა შეუდგნენ ჩემპიონატისათვის მზადებას.

გუნდური პირველობისათვის ბრძოლა ლენინგრადში ძირითადად მოსკოვისა და რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებს შორის იყო გამართული. გამარჯვება მოიპოვეს დედაქალაქის მოფარიკაველებმა. რუსეთის ფედერაციის სპორტსმენები მეორე ადგილზე გამოვიდნენ. საქართველოს მოფარიკაველებმა ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავეს.

ამერიკელები ემზადებიან

ახლოვდება საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა საერთაშორისო შეხვედრის დღე და სულ უფრო ინტენსიურად ვარჯიშობენ ჩვენი მომავალი მოწინააღმდეგენი, თითქმის ყოველ კვირას ეწყობა უძლიერესთა შესარჩევი შეჯიბრებები. ამ მიზანს ემსახურებოდა ფილადელფიაში გამართული ამერიკის უნივერსიტეტების მძლეოსანთა პირველობაც, სადაც რამდენიმე მაღალი კლასის შედეგი იქნა ნაჩვენები, ასე მაგალითად, ჯ. თომასმა აიღო 218 სმ სიმაღლე. დ. ლონგმა ბირთვი ჰკრა 19 მ 29 სმ-ზე, მსოფლიო რეკორდმენმა სიგრძეზე ხტომაში რ. ბოსტონმა კვლავ აჩვენა ფენომენალური შედეგი — 8 მ 23 სმ, ხოლო სელვესტრომ ბადრო ტყორცნა 58,50 მეტრზე.

≈≈●≈≈

ახალი მსოფლიო რეკორდი

იაპონიაში გამართულ ძალოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ცნობილმა ამერიკელმა ძალოსანმა ტომ კონომ. მან აჭიმვაში აჩვენა 153 კილოგრამი და 500 გრამი, ეს შედეგი 500 გრამით აღემატება მისივე მსოფლიო რეკორდს.

★

სურათზე: საბჭოთა კავშირის ნაკრების თავდამსხმელი ს. მეტრეველი და თურქეთის გუნდის მცველი მაღალი ბურთისათვის ბრძოლაში.

ფოტო ვ. ტუტოვისა

★

ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე

ათენში გრძელდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია, რომლის დღის წესრიგში დგას მომავალი ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციის საკითხები.

ადგილობრივი გაზეთები ფართო კომენტარებს უკეთებენ სესიის მსვლელობას. როგორც ცნობილია, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტის პრეზიდენტს ე. ბრენდეჯს და კომიტეტის სხვა წევრებს სურთ სერიოზული ცვლილებების შეტანა ოლიმპიური თამაშების სტრუქტურაში. კერძოდ, მათ განზრახული აქვთ თამაშების პროგრამის შემცირება, გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოებისას ჰიმნების შესრულების გაუქმება და სხვ. მაგრამ, როგორც ათენის პრესა ამტკიცებს, კომიტეტის წინადადებებს სერიოზული საფრთხე მოელის, რადგან დელეგატთა უმრავლესობა მისი აშკარა წინააღმდეგია.

ამ დღეებში სესია დაამთავრებს თავის მუშაობას.

სოფიის საერთაშორისო ტურნირი

როგორც ცნობილია, სოფიაში გრძელდება 7 ქვეყნის კალათბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. გათამაშებას წაუგებლად ლიდერობს სამი გუნდი: სოფიის „სპარტაკი“, პეკინის „ციან-ვეი“ და თბილისის „დინამო“. ბულგარელმა კალათბურთელებმა ჩაატარეს სამი შეხვედრა და სამივეში გამარჯვებას მიაღწიეს. ქართველ და ჩინელ კალათბურთელებს მხოლოდ ორ-ორი შეხვედრა აქვთ ჩატარებული.

სპორტთამაშობათა დარბაზში დიდი ინტერესით მოელიან თბილისის „დინამოსა“ და სოფიის „სპარტაკის“ შეხვედრას. სპეციალისტების აზრით ამ მატჩმა უნდა გადაწყვიტოს ტურნირში გამარჯვებულის ბედი. შეხვედრა გაიმართება შაბათს, 24 ივნისს. გუშინ ტურნირში დასვენების დღე იყო.

ქვემოთ მოგვყავს გათამაშების ცხრილი.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ სოფია	3	3	0	240:172	3
„დინამო“ თბილისი	2	2	0	160:99	2
„ციან-ვეი“ პეკინი	2	2	0	161:107	2
„გვარდია“ ვარშავა	3	1	2	195:174	1
„დინამო“ ბუქარესტი	3	1	2	173:176	1
„დინამო“ ბერლინი	2	0	2	101:192	0
„რუდე-გვეზდა“ პრაღა	3	0	3	121:231	0

დამტკიცებულია
სსრ კავშირის სპორტულ
საზოგადოებათა და
ორგანიზაციების
ცენტრალური საბჭოს
პრეზიდიუმის
დადგენილებით
№ 12
1960 წ. 23 ივნისი

ერთიანი საკავშირო დებულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. ამოცანები და მიზნები

1. ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივ განვითარებას, როგორც საბჭოთა ადამიანთა ჯანმრთელობის განმტკიცების, ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების, შრომისუნარიანობის ამაღლებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას, ხტომული მისცეს სპორტით სისტემატურ მეცადინეობას, სპორტული ოსტატობის ამაღლებას და სპორტის ყველა სახეობაში სპორტსმენთა მომზადებას, რომლებსაც უნარი შესწევთ მოიპოვონ მსოფლიო პირველობები და განაახლონ რეკორდები.

ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობამ ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის საფუძველზე ხელი უნდა შეუწყოს მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, მასობრივ ჩაბმას ფიზიკური კულტურითა და სპორტით მეცადინეობაში, ფიზკულტურული ორგანიზაციების ყოველდღიური მუშაობის გაუმჯობესებას თანრიგოსან სპორტსმენთა ახალი მილიონების მომზადების საქმეში საერთო-საგანმანათლებლო სკოლებში, საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებებში, სპორტულ კლუბებში, სპორტულ სკოლებში, სამხედრო ნაწილებში, საწარმოებების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობათა და კოლმეურნეობათა ფიზიკური კულტურის კოლექტივებში.

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის ამოცანები და მიზნები უნდა განხორციელდეს პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების აქტიური ურთიერთ საქმიანობით და ფართო საზოგადოებრივი ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე.

II. სპორტული წოდებები და თანრიგები

2. სსრ კავშირში კულტივირებულ სახეობებში სპორტსმენთათვის დადგენილია შემდგომი სპორტული წოდებები და თანრიგები:

სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, I თანრიგის სპორტსმენი, II თანრიგის სპორტსმენი, III თანრიგის სპორტსმენი, მოზარდთა I თანრიგის სპორტსმენი, მოზარდთა II თანრიგის სპორტსმენი.

ჭადრაკსა და შაშში დადგენილია დამატებით სსრ კავშირის გროსმაისტერისა და ოსტატობის კანდიდატის წოდებები, ჭადრაკში— IV და V თანრიგები, შაშში — IV თანრიგი.

3. სპორტული წოდებები და თანრიგები 1961-1964 წლებისათვის დაწესებულია ჩვენს ქვეყანაში კულტივირებულ სპორტის შემდგომ სახეობებში, რომლებშიც სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ დაამტკიცა შეჯიბრებათა საკავშირო წესები:

1. საავიამოდელო სპორტი.
2. საავტომობილო სპორტი.
3. აკრობატიკა.
4. ალპინიზმი.
5. ბადმინტონი.
6. კალათბურთი.
7. კრივი.
8. თავისუფალი ჭიდაობა.
9. კლასიკური ჭიდაობა.
10. ჭიდაობა სამბო.
11. ველოსპორტი—საგზატკეცილო რბოლა და კროსი.
12. ველოსპორტი — სატრეკო რბოლა.
13. საველოსპორტო სპორტი.
14. წყალბურთი.
15. საწყლოსნო-სამოტორო სპორტი.
16. ფრენბურთი.
17. სპორტული ტანვარჯიში.
18. მხატვრული ტანვარჯიში.
19. რუსული რიკაობა.
20. აკადემიური ნიჩბოსნობა.
21. ხალხური ნიჩბოსნობა და ნიჩბოსნობა საზღვაო ნავებზე.
22. საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე.
23. საციგურაო სპორტი.
24. ცხენოსნობა.
25. მძლეოსნობა.
26. სათხილამურო სპორტი—რბოლა და ზამთრის თანამედროვე ორჭიდი.
27. სათხილამურო სპორტი—სამთო სახეობანი (სლალომი და სწრაფდაშვება).
28. მოტოსპორტი.
29. საპარაშუტო სპორტი.
30. საიალქნო და საბუერო სპორტი.
31. ცურვა.
32. საპლანერო სპორტი.
33. წყალქვეშა სპორტი.
34. ხტომა წყალში.
35. თხილამურებით ხტომა ტრამპლინიდან და ორჭიდი.
36. ხელბურთი 7:7.
37. ხელბურთი 11:11.
38. სათვითმფრინავო სპორტი.
39. თანამედროვე ხუთჭიდი და სამჭიდი, საზღვაო სპორტული ორავალჭიდი.
40. სასროლო სპორტი—ტყვიით სროლა.
41. სასროლო-სამონადირეო სპორტი.
42. მშვილდოსნობა.
43. ჩოგბურთი.
44. მაგიდის ჩოგბურთი.
45. სიმძიმეების აწევა.
46. ფარიკაობა.
47. ფიგურული სრიალი ციგურებით.
48. ფეხბურთი.
49. ჰოკეი ბურთით.
50 შაიბიანი ჰოკეი.
51 ჭადრაკი.
52. შაში.

4. ამ დებულების მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ სპორტის სახეობათა მიხედვით სათანრიგო ნორმებსა და მოთხოვნებს ამტკიცებს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭო.

5. სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება საპატიოა და მიენიჭება სპორტსმენებს—სსრ კავშირის 18 წლისა და უფროსი ასაკის მოქალაქეებს, რომლებმაც მიაღწიეს ამ წოდებისათვის დაწესებულ სპორტულ შედეგებს სპორტის შესაბამის სახეობებში, ან მოიპოვეს დიდი წარმატებები საერთაშორისო შეჯიბრებებში, აწარმოებენ საზოგადოებრივ მუშაობას ინსტრუქტორად ან მწვრთნელად და გადასცემენ თავიანთ გამოცდილებასა და ცოდნას ახალგაზრდებს.

შენიშვნა: ცურვაში, ციგურებით ფიგურულ სრიალსა და წყალში ხტომაში სპორტის ოსტატის წოდება შეიძლება მიენიჭოთ 16 წელს მიღწეულ სპორტსმენებსაც.

6. I სპორტული თანრიგი მიენიჭება სპორტსმენებს, რომლებმაც შეასრულეს მოცემული თანრიგისათვის დაწესებული ნორმები და მოთხოვნები და აწარმოებენ საზოგადოებრივ მუშაობას ფიზიკური კულტურის კოლექტივებში.

7. II და III თანრიგები მიენიჭებათ სპორტსმენებს, რომლებმაც შეასრულეს მოცემული თანრიგებისათვის დაწესებული ნორმები და მოთხოვნები და მთლიანად ჩაბარეს მშმ კომპლექსის I ან II საფეხურის ნორმები მათი ასაკის შესაბამისად.

8. მოზარდთა სპორტული თანრიგები (II და I) მიენიჭებათ 15-18 წლის სპორტსმენებს, რომლებმაც შეასრულეს მათთვის დაწესებული სათანრიგო ნორმები და თანრიგები და მთლიანად ჩაბარეს იმშმ ან მშმ I საფეხურის კომპლექსის ნორმები მათი ასაკის შესაბამისად.

შენიშვნები: ა). სპორტის, ზოგიერთ სახეობაში (ცურვა, წყალში ხტომა, ფიგურული სრიალი ციგურებით, აკრობატიკა, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, ავიამოდელიზმი) დასაშვებია მოზარდთა II თანრიგის მინიჭება 12-14 წლის ასაკში. ნორი სპორტსმენებისაგან იმშმ ნორმების ჩაბარება ამ ასაკში საჭირო არაა. იმშმ კომპლექსის ნორმები მათ უნდა ჩააბარონ 15 წლის ასაკის მიღწევისას.

ბ). სპორტის ოსტატებისა და I თანრიგის სპორტსმენთათვის დაწესებულია აგრეთვე ჩასათვლელი მოთხოვნები თეორიულ მომზადებაში დადგენილი პროგრამის შესაბამისად.

9. სპორტის იმ სახეობებში, სადაც შედეგების ფიქსირება ხდება დროის, წონის, მანძილის ერთეულებში, ქულებსა ან ბალებში და სადაც ჭაბუკები და გოგონები არსებული წესების მიხედვით დაიშვებიან მოზრდილებთან ერთად, 17-18 წლის ჭაბუკებსა და გოგონებს შეიძლება მიენიჭოს მოზრდილთა III, II და I თანრიგები მათ მიერ ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

10. კრივში, თავისუფალ, კლასიკურ ჭიდაობასა და სამბოში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, საბაიდარო და ხალხურ ნიჩბოსნობასა და კანოეში, ფარიკაობაში, საიალქნო, საბუერო, წყალქვეშა სპორტში, მაგიდის ჩოგბურთში, შაშში, გუნდურ სპორტთამაშებში მოზარდთა I და II თანრიგები მიენიჭება მოზარდთა შეჯიბრებებში ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

11. საავტომობილო სპორტში, ალპინიზმში, საველოსპორტო, საწყლოსნო-სამოტორო, საპარაშუტო და სათვითმფრინავო სპორტში, ცხენოსნობაში, თანამედროვე ხუთჭიდში, სასტენდო სროლაში, სიმძიმეების აწევასა და ჭადრაკში მოზარდთა თანრიგების მინიჭება არ ხდება.

12. მოზარდთა I თანრიგის სპორტსმენებს (მე-10 პუნქტში ჩამოთვლილ სახეობებში) ასაკით მოზრდილთა კატეგორიაში გადასვლის შემდეგ მიენიჭებათ მოზარდთა III თანრიგი და უფლება ეძლევათ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღონ მოზრდილებთან ერთად.

13. სპორტით სისტემატური მეცადინეობის სტიმულირებისა და სპორტული ოსტატობის ზრდის მიზნით თვითეული სპორტსმენი მოვალეა რეგულარულად მონაწილეობდეს შეჯიბრებებში. დადგენილია შეჯიბრებათა მინიმალური რაოდენობა, რომლებშიც უნდა ყოველწლიურად მიიღონ მონაწილეობა სპორტსმენებმა მათთვის ამა თუ იმ თანრიგის მინიჭებისათვის.

14. სპორტული თანრიგები მიენიჭება მხოლოდ იმ შედეგების საფუძველზე. რომლებიც ნაჩვენებია ოფიციალურ შეჯიბრებებში. ოფიციალურად ითვლება შეჯიბრებები, რომლებსაც უმსახურება ფიზკულტურულ ორგანიზაციებში, ფიზიკური კულტურის კოლექტივებში, დოსაფის ორგანიზაციებში და სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოებში აღრიცხვაზე მყოფი მსაჯთა კოლეგიები. ოფიციალურ შეჯიბრებათა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე ფიზიკური კულტურის კოლექტივებში, სკოლებსა და სხვა პირველად ორგანიზაციებში ჩატარებული შეჯიბრებები.

15. სპორტსმენთა კლასიფიკაცია სპორტის იმ ეროვნულ სახეობებში, რომლებშიც არსებობს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის შესაბამისი რესპუბლიკური საბჭოების მიერ დამტკიცებული შეჯიბრებიც წესები, ნებადართულია I სპორტული თანრიგის ჩათვლით. სათანრიგო ნორმები და მოთხოვნები სპორტის ეროვნულ სახეობებში მტკიცდება მოკავშირე რესპუბლიკათა სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოების მიერ და მოქმედია მხოლოდ მოცემული მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში.

16. სპორტსმენი, რომელიც ორი კალენდარული წლის მანძილზე ვერ დაამტკიცებს თავისი სათანრიგო კლასიფიკაციის ნორმებსა და მოთხოვნებს, გადაიყვანება მომდევნო, დაბალ თანრიგში. სპორტის ოსტატები ინარჩუნებენ თავიანთ წოდებას ნაჩვენები შედეგების დამოუკიდებლად, მაგრამ შეჯიბრებებში გამოდიან იმ სათანრიგო ჯგუფებში, რომლებიც შეეფარდება მათი სპორტული მომზადების დონეს.

მოზარდთა II თანრიგისა და მოზრდილთა III თანრიგის სპორტსმენები, რომლებიც ორი კალენდარული წლის განმავლობაში ვერ დაამტკიცებენ თავიან თანრიგს, გამოითიშებიან სათანრიგო კლასიფიკაციიდან.

III. თანრიგოსან სპორტსმენთა და სპორტის ოსტატთა უფლებები და მოვალეობანი

17. ფიზკულტურელებს, რომლებსაც მიენიჭათ სპორტული თანრიგები და სპორტული წოდებები უფლება აქვთ:

ა) მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებებში თავიანთი სპორტული ორგანიზაციის ან ნაკრები გუნდების შემადგენლობაში მათი სპორტული კვალიფიკაციის დონის შესაბამისად;

ბ) ატარონ მოცემული თანრიგის შესაბამისი ნიშანი;

გ) უპირატესობა მიეკუთვნოთ სპორტულ სკოლებში ჩარიცხვისას; სპორტის შესაბამის სახეობაში;

დ) უპირატესობა მიეკუთვნოთ ფიზკულტურულ სასწავლო დაწესებულებებში შესვლისას შესახელელი გამოცდების სხვა თანაბარი მაჩვენებლების დროს.

18. ფიზკულტურელები, რომლებსაც მიენიჭათ სპორტული თანრიგები და წოდებები, მოვალენი არიან:

ა) იმყოფებოდნენ ფიზიკური კულტურის კოლექტივში (ფიზკულტურულ ორგანიზაციაში) და აქტიური მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებებში თავიანთი ფიზკულტურული კოლექტივის სახელით;

ბ) სისტემატურად აიმაღლონ თავიანთი ყოველმხრივი ფიზიკური განვითარებისა და სპორტული ოსტატობის დონე;

გ) მუდმივად აიმაღლონ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონე, იყვნენ მოწინავენი წარმოებაში, სწავლასა და საზოგადოებრივ მუშაობაში, ყოველდღიურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ წრეში;

დ) აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაში, თავიანთი სპორტული გამოცდილება და ცოდნა გადასცენ ახალგაზრდა ფიზკულტურელებს.

19. სპორტსმენი, რომელსაც აქვს სპორტული თანრიგი, მონაწილეობს შეჯიბრებებში იმ ფიზკულტურული კოლექტივის სახელით, რომელიც აღნიშნულია მის საკლასიფიკაციო ბილეთში და სადაც იგი იმყოფება აღრიცხვაზე. გამონაკლისი ამ საერთო წესიდან შეუძლია დაუშვას მხოლოდ სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა.

IV. სპორტულ წოდებათა და თანრიგების მინიჭების წესი

20. სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება ენიჭება სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს დავალებით სსრ კავშირის ფედერაციათა მიერ სპორტის სახეობათა მიხედვით პირველადი ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის რესპუბლიკური საბჭოების წარდგინების საფუძველზე.

21. I სპორტულ თანრიგს ანიჭებენ:

ა) მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც არა აქვთ საოლქო დაყოფა, — მოკავშირე რესპუბლიკათა ფედერაციები სპორტის სახეობათა მიხედვით კავშირიც სარაიონო და საქალაქო საბჭოების წარდგინების საფუძველზე;

ბ) მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც აქვთ საოლქო დაყოფა, — მხარეების, ოლქებისა და ახს რესპუბლიკების სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოები, კავშირის საქალაქო და სარაიონო საბჭოების. აგრეთვე მხარეების, ოლქებისა და ახს რესპუბლიკათა კავშირის საბჭოების სპორტული სექციების წარდგინების საფუძველზე;

ᲞᲝᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ 1964 ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დაწესებულებათა ფიზიკური კულტურის კოლექტივები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპორტული კლუბების უფლება, დაწესებულებათა სპორტული კლუბების დებულების შესაბამისად;

დ) ფიზიკური კულტურის ინსტიტუტები;

ე) სპორტულ საზოგადოებათა კავშირის საქალაქო საბჭოები, აგრეთვე ცალკეული უმაღლესი სასწავლებლები, ფიზიკური კულტურის კოლექტივები და სხვა ორგანიზაციები, რომლებსაც განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები აქვთ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მუშაობის დარგში. ასეთ ორგანიზაციათა სიები მტკიცდება სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და ასს რესპუბლიკათა კავშირების მიერ.

22. II სპორტულ თანრიგს ანიჭებენ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საქალაქო და სარაიონო საბჭოები ფიზიკური კულტურის კოლექტივების წარდგინების საფუძველზე, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტები, დაწესებულებათა სპორტული კლუბები, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, აგრეთვე ფიზიკური კულტურის კოლექტივები, საბავშვო და ახალგაზრდული სპორტული სკოლები, რომლებსაც მაღალი მაჩვენებლები აქვთ ფიზკულტურულ და სპორტულ შუშაობაში (სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საქალაქო და სარაიონო საბჭოების გადაწყვეტილებით).

23. III სპორტულ თანრიგს ანიჭებენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების საბჭოები, სადაც გაერთიანებულია ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების არანაკლებ 50 წევრი, აგრეთვე ბავშვთა და ახალგაზრდული სპორტული სკოლები. სპორტსმენებს, რომლებიც იმყოფებიან მცირერიცხოვან ფიზკულტურულ კოლექტივებში, III თანრიგი მიეკუთვნებათ სპორტულ საზოგადოებათა საქალაქო ან სარაიონო საბჭოების მიერ და თუ ასეთები არაა — სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის სარაიონო ან საქალაქო საბჭოების მიერ.

24. მოზარდთა I და II თანრიგებს ანიჭებენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების საბჭოები, საშუალო სკოლების, საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებათა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებათა დირექტორები, ბავშვთა და ახალგაზრდული სპორტული სკოლები.

25. მოზრდილთა თანრიგებს I, II, III და მოზარდთა სპორტულ თანრიგებს მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ სპორტის სახეობათა მიხედვით სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სპორტულ ორგანიზაციებში ანიჭებენ განსაკუთრებული ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს მიერ.

26. I, II და III სპორტულ თანრიგებს ავიასამოდელო, საავტომობილო, საერტმფრენო, სამოტოციკლო, საპარაშუტო, საპლანერო და სათვითმფრინავო სპორტში, საზღვაო სპორტულ მრავალჭიდსა და წყალქვეშა სპორტში ანიჭებენ დოსაააფ-ის კომიტეტები განსაკუთრებული ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს მიერ.

27. სპორტული თანრიგების მინიჭების წესს სპორტის სახეობათა მიხედვით, რომლებიც კულტივირებულია მხოლოდ მოცემულ რესპუბლიკაში (სპორტის ეროვნული სახეობანი), აწესებს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის შესაბამისი რესპუბლიკური საბჭო ამ დებულების შესაბამისად.

28. სპორტის ოსტატის წოდებისა და I სპორტული თანრიგის მინიჭებისათვის ფიზიკური კულტურის კოლექტივები სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის შესაბამის საბჭოებში აგზავნიან სპორტსმენის შევსებულ ჩასათვლელ საკლასიფიკაციო წიგნაკს და დადგენილი ნიმუშის საღირიცხვო ბარათს.

29. I და II სპორტულ თანრიგების მისანიჭებლად ფიზიკური კულტურის კოლექტივები შესაბამის კავშირის საბჭოებში ან სხვა ზემდგომ ორგანიზაციებში წარადგენენ დადგენილი ფორმის შევსებულ საღირიცხვო ბარათებს.

30. სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოები და სხვა ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებსაც უფლება აქვთ მიანიჭონ მოცემული სპორტული თანრიგი, წარდგენილი საბუთების შემოწმების შემდეგ თავიანთი დადგენილებით (ბრძანებით) ანიჭებენ სპორტსმენს სპორტულ თანრიგს.

V. სათანრიგო ნიშნები და ჩასათვლელი საკლასიფიკაციო წიგნაკები

31. დადგენილია შემდეგი ნიმუშები, რომლებიც ეძლევა სპორტსმენებს, რომლებმაც შეასრულეს სპორტული წოდებები და თანრიგები:

ა) სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნიშანი,

ბ) ნიშანი I თანრიგის სპორტსმენთათვის,

გ) ნიშანი II და III თანრიგების სპორტსმენთათვის,

დ) ნიშანი მოზარდთა I და II თანრიგების სპორტსმენთათვის.

32. ნიშნებს (აგრეთვე მოწმობას) სპორტსმენებზე, რომლებმაც შეასრულეს სპორტის ოსტატის წოდება, გასცემს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭო.

სპორტის ოსტატთა ნიშნებსა და საბუთებს კავშირის ცენტრალური საბჭო უგზავნის კავშირის საქალაქო და სარაიონო საბჭოებს მოცემული სპორტსმენის საცხოვრებელი ადგილის მისაშართით და გადაეცემა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს რწმუნებით ფიზიკური კულტურის კოლექტივის საბჭოს მიერ.

33. I და II თანრიგების სპორტსმენებზე ნიშნებს გასცემენ ორგანიზაციები, რომლებსაც უფლება აქვთ მიანიჭონ ეს თანრიგები, ხოლო სპორტსმენებს მათ აბარებენ ფიზიკური კულტურის კოლექტივების საბჭოები, რომელთა წევრებადაც ითვლებიან ეს სპორტსმენები.

34. III და მოზარდთა თანრიგების სპორტსმენებს ნიშნებს გადასცემენ ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოები, საერთოსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების, საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების, ბავშვთა და ახალგაზრდული სპორტული სკოლების დირექციები მოცემული სპორტსმენების მუშაობის ან სწავლის ადგილის მიხედვით. მოსწავლეებს, საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და პროფტექგანათლების სასწავლო დაწესებულებათა მოსწავლეებს ნიშნებს გადასცემენ სასკოლო და სასწავლო სასწავლებლების დირექტორები.

35. დადგენილია სპორტსმენთა ჩასათვლელი საკლასიფიკაციო წიგნაკების ორი ტიპი:

ა) I თანრიგის სპორტსმენთა და სპორტის ოსტატთათვის,

ბ) II, III და მოზარდთა თანრიგების სპორტსმენთათვის.

36. საკლასიფიკაციო ჩასათვლელი წიგნაკების გადაცემას. აგრეთვე აღნიშნვას უფრო მაღალ სპორტულ თანრიგში გადასვლის შესახებ აწარმოებენ ფიზკულტურული ორგანიზაციები და კოლექტივები.

37. საკლასიფიკაციო წიგნაკის რეგისტრაცია ხდება ფიზიკური კულტურის კოლექტივში (ფიზკულტურულ ორგანიზაციაში), რომლის წევრიცაა მოცემული სპორტსმენი. უამისოდ წიგნაკს ძალა არა აქვს. საკლასიფიკაციო ჩასათვლელი წიგნაკი ერთდროულად საბუთია იმისა, რომ სპორტსმენს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებებში იმ ფიზიკური კულტურის კოლექტივის, ფიზკულტურული ორგანიზაციისა და სპორტული საზოგადოების სახელით, რომლის წევრიცაა იგი და წარადგენს შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიაში.

38. საკლასიფიკაციო ბილეთის ან სათანრიგო ნიშნის დაკარგვისას სპორტსმენს მიეცემა ბილეთის ან ნიშნის დუბლიკატი პირველადი ფიზკულტურული ორგანიზაციის შუამდგომლობით.

ᲙᲠᲘᲖᲘ

ᲡᲐᲗᲐᲜᲠᲘᲒᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ

სპორტის ოსტატი — დაიკავოს პირველი-მესამე ადგილები სსრ კავშირის პირველობაზე,

ან

წლის განმავლობაში მოიპოვოს ხუთი გამარჯვება სხვადასხვა მოქმედ სპორტის ოსტატზე არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებში,

ან

წლის განმავლობაში მოიპოვოს თხუთმეტი გამარჯვება ან ორი წლის განმავლობაში ოცდახუთი გამარჯვება I თანრიგის სხვადასხვა სპორტსმენზე, მათგან არანაკლებ რვა (თხუთმეტი) გამარჯვება სსრ კავშირის პირველობებზე. საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებზე და არანაკლებ შვიდი (ათი) გამარჯვება საქალაქო მასშტაბის სხვა შეჯიბრებაში.

გამარჯვებათა აღნიშნული რიცხვის გარდა მოკრივემ სულ ცოტა ერთხელ მაინც ორი წლის განმავლობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა სსრ კავშირის პირველობაში ან დაიკავოს პირველი-მეორე ადგილები საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებში.

გამარჯვება მოქმედ სპორტის ოსტატზე ფასდება როგორც სამი გამარჯვება I სპორტული თანრიგის მოკრივეზე.

თავისი სპორტული კვალიფიკაციის დასამტკიცებლად სპორტის ოსტატმა წლის განმავლობაში უნდა მოიპოვოს არანაკლებ ექვსი გამარჯვება I თანრიგის სხვადასხვა მოკრივეზე, ან ორი გამარჯვება სხვადასხვა მოქმედ სპორტის ოსტატზე.

I თანრიგი — წლის განმავლობაში მოიპოვოს ხუთი გამარჯვება I თანრიგის სხვადასხვა სპორტსმენზე არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებში,

ან

წლის განმავლობაში მოიპოვოს ათი გამარჯვება II თანრიგის სხვადასხვა მოკრივეზე არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებზე ან შესაბამის სამატჩო შეხვედრებში.

II თანრიგი — წლის განმავლობაში მოიპოვოს ოთხი გამარჯვება II თანრიგის სხვადასხვა მოკრივეზე არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებში,

ან

წლის განმავლობაში მოიპოვოს რვა გამარჯვება III თანრიგის სხვადასხვა მოკრივეზე ოფიციალურ პირველობებში ან ყოველგვარი მასშტაბის სამატჩო შეხვედრებში.

III თანრიგი — წლის განმავლობაში მოიპოვოს სამი გამარჯვება III თანრიგის სხვადასხვა მოკრივეზე.

ან

წლის განმავლობაში მოიპოვოს ექვსი გამარჯვება სხვადასხვა ახალბედა მოკრივეზე ყოველგვარ ოფიციალურ შეჯიბრებებში.

მოზარდთა I თანრიგი — წლის განმავლობაში მოიპოვოს ოთხი გამარჯვება მოზარდთა პირველი თანრიგის სხვადასხვა მოკრივეზე არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებში,

ან

წლის განმავლობაში მოიპოვოს რვა გამარჯვება მოზარდთა II თანრიგის სხვადასხვა მოკრივეზე ყოველგვარ ოფიციალურ შეჯიბრებაში.

მოზარდთა II თანრიგი — წლის განმავლობაში მოიპოვოს ორი გამარჯვება მოზარდთა II თანრიგის სხვადასხვა მოკრივეზე ყოველგვარ ოფიციალურ შეჯიბრებაში,

ან

წლის განმავლობაში მოიპოვოს ოთხი გამარჯვება ახალბედა ჭაბუკ მოკრივეზე ყოველგვარ ოფიციალურ შეჯიბრებაში.

III თანრიგის დადასტურებისათვის სპორტსმენმა წლის განმავლობაში უნდა მოიპოვოს არანაკლებ ორი გამარჯვება თავისი თანრიგის მოკრივეებზე ან ოთხი გამარჯვება მოკრივეებზე, რომლებსაც აქვთ ერთი თანრიგით დაბალი კლასიფიკაცია.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ

გამარჯვებათა დაწესებული რაოდენობის გარდა სპორტული თანრიგებისა და სპორტის ოსტატის წოდების მიკუთვნებისათვის მოკრივემ გამსინჯავ ტექნიკურ კომისიას უნდა ჩააბაროს სანორმატივო მოთხოვნები კრივის ძირითად ღილეთებში მოცემული სპორტული თანრიგისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ფიზიკური კულტურის კოლექტივების სპორტულ სექციათა მოქმედი პროგრამით და დამტკიცებულია სსრ კავშირის კრივის ფედერაციის მიერ.

შუდმივად მოქმედი გამსინჯავი ტექნიკური კომისია იქმნება კრივის საქალაქო სექციებთან.

შენიშვნები: 1. ერთი გამარჯვება მაღალი თანრიგის სპორტსმენზე ფასდება როგორც ორი გამარჯვება თავისი თანრიგის წარმომადგენელზე.

2. მოზარდთა თანრიგები მიეკინიჭება 17-18 წლის ჭაბუკებს.

3. მოკრივე ვალდებულია იქონიოს მოწმობა, რომლის საბრძოლო სიაში შეაქვთ სპორტსმენის მონაწილეობის შედეგები ოფიციალურ შეჯიბრებებში.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲦᲔᲘᲓᲐᲜ ᲒᲔᲒᲓᲐᲕᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲜᲘᲜᲐᲨᲔᲑᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲮᲣᲗᲨᲘᲓᲔᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

მოსკოვში დაიწყო საბჭოთა კავშირის პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში, რომელშიც მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივები.

შეჯიბრების პირველ დღეს მოეწყო საცხენოსნო კროსი, რომელშიც გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადელმა სპორტსმენმა მინაკოვმა. პირველი დღის შემდეგ მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ნოვიკოვი ლიდერთან 28 ქულას აგებდა.

პროგრამის მეორე სახეობა იყო ფარიკაობა. აქ კარგ მაჩვენებლებს მიაღწია არმიელმა სპორტსმენმა ფეტისოვმა, რომელმაც ყველა ბრძოლა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა.

ორი დღის შემდეგ ჩემპიონატს ლიდერობს სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ნოვიკოვი, რომელსაც მოგროვილი აქვს 1814 ქულა.

ᲚᲔᲚᲝ

ᲛᲔ-3 ᲒᲒ. № 85 (1721)

საფეხბურთო ბილეთები

ბრესტი. 19 ივნისს ბრესტის სტადიონზე შედგა მორიგი შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდები — „სპარტაკი“ (ბრესტი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი).

თამაში მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 3:0.

* * *

„დინამო“ (ბათუმი)-
„პიშჩევიკი“ (ტირასპოლი)

გუშინ ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდი — „პიშჩევიკი“ (ტირასპოლი).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ევროპის II პირველობა

ევროპის ქვეყნებში ცხოვრობს ჩვენი დროის გამოჩენილი მოჭადრაკეების უმრავლესობა. ამიტომ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ 1957 წლიდან შემოიღო ევროპის სახელმწიფოთა საჭადრაკო გუნდური პირველობა. დაწესდა თვითეული გუნდის შემადგენლობაში 10 მოჭადრაკე, ხოლო შეხვედრების ჩატარება ორ წრედ.

1957 წლის აგვისტოში ვენაში გაიმართა ევროპის I პირველობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებმა. მაშინ საბჭოთა გუნდს ლიდერობდა მსოფლიო ჩემპიონი ვ. სმისლოვი. როგორც მოსალოდნელი იყო, ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომელმაც 7 ქულით ჩამოიტოვა იუგოსლავიის გუნდი.

ევროპის II პირველობაში მონაწილეობის სურვილი განაცხადა 12 სახელმწიფოს გუნდმა. 1959 წელს მოეწყო ნახევარფინალური შეჯიბრებები, რომლებმაც გამოაღლინეს ფინალისტები საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ესპანეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები.

გუშინ ობერპაუზენში (გფრ) საზეიმოდ გაიხსნა ევროპის II პირველობის ფინალური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს ყველა ფინალისტი.

საბჭოთა კავშირის ნაკრები წარმოდგენილია მეტად ძლიერი შემადგენლობით. მასში შედიან მ. ბოტვინიკი, მ. ტალი, ვ. სმისლოვი, პ. კერესი, ტ. პეტროსიანი, ვ. კორჩნოი და სხვები. ტურნირი ჩატარდება ორ წრედ და გაგრძელდება 2 ივლისამდე.

3 თვე გაგრძელდა წინასწარი შეჯიბრებები რაიონებს შორის თბილისის პირველობაზე ფეხბურთში. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის მთელ რიგ რაიონებში სათანადო ყურადღება გამოიჩინეს აღნიშნული შეჯიბრებისადმი, ჩამოყალიბდა ახალი გუნდები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ გათამაშებაში, ლენინის სახ. რაიონის, სამგორის რაიონის სპორტკავშირებმა თავიანთ რაიონებში მიაღწიეს გარკვეულ მასობრიობას. იგივე შეიძლება ითქვას სტალინის სახ. სპორტკავშირზეც, მაგრამ ამ დარგში ჯერჯერობით ჩამორჩებიან 26 კომ. სახ. და ორჯონიკიძის რაიონები, საიდანაც შეჯიბრებაზე გამოვიდა რაიონში არსებული გუნდების მხოლოდ მესამედი ნაწილი და სწორედ ამის გამოა, რომ მათ ვერ მიიღეს ადგილების სათანადო რაოდენობა ქალაქის პირველობის ფინალურ ჯგუფში.

პირველი ადგილები რაიონების მიხედვით დაიკავეს შემდეგმა გუნდებმა: კიროვის სახ. ქარხანა (ლენინის რაიონი), მაუდ-კამოლის კომბინატი (სტალინის რაიონი), სასოფლო-სამეურნეო ინსტ ი ტ უ ტ ი (ორჯონიკიძის რაიონი), ქარხანა ელექტროავტომატი (კიროვის რაიონი), ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო (კალინინის რაიონი), სამოდელო ფაბრიკა (ოქტომბრის რაიონი), ხე-ტყის კომბინატი (26 კომ. სახ. რაიონი), დიღმის სარემონტო ქარხანა (სამგორის რაიონი).

თუ წინასწარ შეჯიბრებებში სასიხარულო ფაქტია მასობრიობის ზრდა, ჯერ კიდევ საგრძნობლად მოიკოჭლებს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა ცალკეულ კოლექტივებში. სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ გვიხდება ლაპარაკი იმაზე, რომ თბილისის საფეხბურთო მინდვრებზე სისტემატური ხასიათი აქვს უხეშობასა და უდისციპლინობას.

კამოს სახ. ქარხნის გუნდის მოთამაშეები კოსტოიანი და ჰასან-ზადე გაძევებულ იქნენ მინდვრიდან გინებისა და მსაჯის შეურაცხყოფისათვის. სახელმწიფო უნივერსიტეტის მოთამაშეები გელაშვილი, ბურდილაძე და ვასაძე, „ისნის“ ფეხბურთელები დოლიძე, ბეჟიაშვილი, საკონდიტრო კომბინატის წევრები ახანოვი, მაჩაიძე, კინოსტუდიის სპორტსმენი სულაბერიძე და სხვანი აგრეთვე გაძევებულ იქნენ მინდვრიდან უხეშობის ან უწმაწური სიტყვების ხმარებისათვის, ხოლო რაც შეეხება ელმავალმშენებელი ქარხნის გუნდის მოთამაშე ო. გოგიშვილს, მან თავისებური „რეკორდი“ დაამყარა: მას შემდეგ, რაც უხეში თამაშისათვის იგი გაძევებულ იქნა მინდვრიდან, ო. გოგიშვილმა ხელი გაარტყა მსაჯს(?!).

რა თქმა უნდა, აღნიშნულ ფეხბურთელებს სასჯელები დაედოთ, მაგრამ მხოლოდ ეს ზომა საქმეს არ შველის და ძირითადი მუშობა უნდა ჩატარდეს იმ ორგანიზაციებში, რომელთა ფეხბურთელებიც გამოდიან მინდორზე სათამაშოდ.

ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ ჩვენი მწვრთნელები ჯერ კიდევ არ დგანან სათანადო სიმაღლეზე არა მარტო სასწავლო-საწვრთნელი გარჯიშების ჩატარებისას, არამედ აღმზრდელობითი საქმიანობის წარმოებაშიც. ამგვარი ფაქტებით უნდა დაინტერესდნენ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები და მიმართონ შესაფერის ზომებს. გარდა ამისა, მეტი მოეთხოვებათ მსაჯებსაც, რომლებიც ვერ იჩენენ სათანადო პრინციპულობას მინდორზე და არ იმაღლებენ თავიანთ კვალიფიკაციას. ამის გამო სასჯელი დაედოთ მსაჯებს ე. ჩიფჩიურსა და რ. ხუციშვილს.

ფეხბურთის საქალაქო სექციის პრეზიდიუმმა, მსაჯთა კოლეგიამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ აღნიშნულ მოვლენებს ჩვენი ქალაქის საფეხბურთო ცხოვრებაში.

ბ. ვასილიძე

II ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	12	8	2	2	32:17	18
„დინამო“ კ.	12	7	3	2	24:11	17
„პახტაკორი“ ტ.	11	6	3	2	21:19	15
„სპარტაკი“ მ.	11	5	3	3	19:10	13
„დინამო“ მ.	12	4	4	4	18:18	12
„ზენიტი“ ლ.	12	4	4	4	17:20	12
„სპარტაკი“ ერ.	12	3	5	4	18:22	11
„ქაირატი“ ა-ტა	11	3	4	4	13:19	10
„მოლდოვა“ კიშ.	12	3	3	6	21:22	9
„ბელარუსი“ მნ.	12	2	3	7	12:20	7
„კალევი“ ტალ.	11	0	4	7	9:26	4

* * *

მოსკოვი. 20 ივნისი. აქ დედაქალაქის არმიელებმა დაამარცხეს ერევნის „სპარტაკი“ — 4:1.

კოლონელი კალათბურთელები ფოთში

თბილისში გამართული ამხანაგური შეხვედრების შემდეგ პოლონელი კალათბურთელები გაემგზავრნენ ფოთში.

გუშინ საღამოთი გაიმართა პირველი ამხანაგური შეხვედრა პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდსა და ქართველ კალათბურთელებს შორის. სტუმრების ქალთა გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივი. მატჩი მოიგეს პოლონელმა სპორტსმენებმა — 63:34.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა პოლონეთის ვაჟთა გუნდისა და თბილისის „სპარტაკის“ კალათბურთელების ორთაბრძოლა. ეს შეხვედრაც სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 75:66.

ა. ლომაია,

ფოთი, ჩვენი საკ. კორესპონდენტი.

უდისციპლინოდ გი დაისაჯნენ

გორის ბამბეულის კომბინატის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც რესპუბლიკურ ჩემპიონატში „დილას“ სახელით გამოდის, ვერ დაიკვეხნის ბრწყინვალე შედეგებით. ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით შესამჩნევია, რომ დაეცა დისციპლინა მოთამაშეთა შორის, თავი იჩინა ერთმანეთის უპატივისცემლობამ, უხეშობამ, ყოყოჩობამ.

ეს საკითხი მსჯელობის საგნად გახადა გორის სპორტკავშირის პრეზიდიუმმა. საკითხის განხილვის ბიძგს წარმოადგენდა გორის ფეხბურთელთა მატჩი ქუთაისის „მშენებელთან“ საქართველოს პირველობაზე.

მატჩის მსვლელობაში გორელი ფეხბურთელები განუწყვეტლივ ეკამათებოდნენ და უშვერი სიტყვებით მიმართავდნენ ერთმანეთს, მეკარე დ. სანოძე და გუნდის კაპიტანი გ. გაბუნია მხოლოდ ამით იყვნენ გართულნი და აღარც ახსოვდათ თამაში. საქმე იქამდეც მივიდა, რომ შეხვედრის დამთავრების შემდეგ ფეხბურთელებმა გ. მჭედლიშვილმა და ვ. პეტრიაშვილმა ერთმანეთში მუშტი-კრივი გამართეს. გუნდის წევრები დ. სანოძე, ზ. ხუბულური, ზ. შერგელაშვილი, ო. ჭუჭყიანი და სხვანი აგდებულად ეპყრობოდნენ საწვრთნელ ვარჯიშებს. ამის გამო კოლექტივში მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა.

სპორტკავშირის პრეზიდიუმმა გ. მჭედლიშვილი და ვ. პეტრიაშვილი დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის გარიცხა გუნდის შემადგენლობიდან. სათანადო სასჯელი დაედო კოლექტივის სხვა დამნაშავე წევრებსაც.

ი. თევდორაშვილი



მოსკოვის ახალგაზრდებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ფიგურული ცურვა. დედაქალაქში მრავალი ჯგუფი და სექცია მეცადინეობს გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით. ამ სურათზე თქვენ ხედავთ მოცურავეებს ვარჯიშის დროს.

ფოტო ვ. ტუტოვისა

უსიტყვოდ... ნახ. ო. სიჭინავასი.

22-23 ივნისი

საქცხიმეთერტრესტის
საცურაო აუზი
(ორთაჭალა)

საერთაშორისო შეხვედრა

„ტული“ (ფინეთი)-
„განთიადი“ (საქართველო)

დასაწყისი 18 ს.

22-25
ივნისი

სპორტის სასახლის ყინულის სარბიელზე მოეწყობა ფიგურულ სრიალში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრთა საჩვენებელი გამოსვლები.

დასაწყისი 20 ს.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით. შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლე ლო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-59-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЭ 03971